პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 122 (4632)

1972 წ. 24 ივნისი, შაბათი.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ბუშის...

რიგაში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირის მატჩის XV პარტია.

საინტერესო თამაშის შემდეგ მეტოქენი 41-ე სვლაზე დაზავდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 8:7 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ — ნონა გაფრინდაშვილმა შეინარჩუნა ჩვენი პლანეტის უძლიერესი მოჭადრაკის წოდება.

მატჩის ბოლო, XVI პარტია გაიმართება ორშაბათს, 26 ივნისს.

# ნონა გაფრინდაშვილმა მეოთხედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება



ნ. გაფრინდაშვილი (რიგაში თამაშის დროს).

მ. ზარგარიანის ფოტო.

## 19 45

◆ ჰანოვერი, 23 ივნისი. აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში ბულგარეთის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა გფრ-ის გუნდს სძლია — 3:2 (15:10, 10:15, 16:14, 12:15, 15:6).

◆ ოსლო, 23 ივნისი. ნორვეგიისა და რუმინეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების აქ გამართული შეჯიბრება მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 117:95. ნორვეგიელები პირველი დღის შემდეგ შეჯიბრას აგებდნენ (42:64), მაგრამ მეორე დღეს დაწინაურება შეძლეს.

## რეკორდი

ერფურტი, 23 ივნისი. გდრ-ის ჩემპიონატში მოასპარეზე 19 წლის მონიკა ცერტმა ევროპის რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე რბენაში — 51,1 წამი. ეს შედეგი 0,6 წამით სჯობს უწინდელ მიღწევას.

მძლეოსნობა

## ნორმატივებს აბარებენ



ვანის რაიონში დროულად შეუდგნენ „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის სამზადისს. რაიონის საწარმო-დაწესებულებების, სკოლების ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოებმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შექმნეს კომპლექსის მიმღები კომისიები.

ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად რაიონის ცენტრალურ სტადიონზე პირველნი გამოვიდნენ ცეკავშირის საწარმოო კომბინატის (ინსტრუქტორ-მეთოდისტი თ. ნიკოლეიშვილი) თანამშრომლები. 76 კაციდან სამ სახეობაში (100 მეტრზე რბენა, სიგრძეზე ხტომა, ბირთვის კვრა) ნორმატივები ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარეს კომბინატის დირექტორმა რ. პაპიაშვილმა, 1-ლი საამქროს მუშებმა ლენა ცხადაშვილმა და ინეზა შარაშენიძემ.

კომბინატელებს არც ვანის № 68 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები ჩამორჩნენ: 301 მოსწავლიდან III და IV საფეხურების ნორმატივები 160-ზე მეტმა ფიზკულტურელმა ჩააბარა. მათ შორის ოქროს სამკერდე ნიშნები დაიმსახურეს: 100 მეტრზე რბენაში — რ. კაშმაძემ და მ. კაკაბაძემ, სიგრძეზე ხტომაში — ზ. გუნიავამ, ბირთვის კვრაში — მ. მსხილაძემ.

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება გრძელდება.

ქ. ბიბილეიშვილი,
რაიონული გაზეთ „განთიადის“ ლიტერატურული მუშაკი.

ვანი.

## პირველად ცაგერში

ამას წინათ ცაგერში ჩატარდა ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობა მიზნად ისახავდა ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენას. ადგილობრივმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ და ცაგერის რაიონის ხელმძღვანელობამ დიდი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინეს შეჯიბრებისადმი. ფალავანთა შეხვედრებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან მსგავსი ღონისძიება რაიონში პირველად ჩატარდა.

ცაგერის ზონაში უნდა ესპარეზათ ქუთაისის, ამბროლაურის, ონის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მესტიისა და, რა თქმა უნდა, ადგილობრივ სპორტსმენებს. სამწუხაროდ, ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს მაიაკოვსკისა და მესტიის რაიონებმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. მუკბანიანმა (ქუთაისი), დ. ფურცელიანმა, თ. გუგავამ (ორივე — ლენტეხი), მ. ლობჟანიძემ (ამბროლაური), ო. ხაბულიანმა (ლენტეხი), ო. ჭეიშვილმა (ქუთაისი), ტ. დევდარიანმა (ამბროლაური), გ. მელიქიშვილმა (ქუთაისი).

ი. ტლაშაძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ცაგერი.

# მოლოდინი გამართლდა, თუმცა...

8-11 ივნისს ჩვენი რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ჩატარდა ზონალური შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში. ხალიჩაზე გამოვიდნენ 71 სხვადასხვა რაიონისა და ქალაქის წარმომადგენლები. შეჯიბრებების პროცესში ბევრი ახალი გვარი გავიგეთ და ბევრი პერსპექტიული მოჭიდავე გავიცანით.

ამ შეჯიბრებების მიზანიც სწორედ ის არის, რომ გაღვავქმნათ მუშაობა საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში, მეტი სიყვარული და ინტერესი ჩავუნერგოთ ახალგაზრდებს ქართული ჭიდაობისადმი, ვნახოთ და შევარჩიოთ ისინი, ვინც შემდგომში წარმატებით შეცვლის ჩვენს გამოცდილ ფალავნებს.

ბევრგან ინტერესით მოეკიდნენ ამ ღონისძიებას. აქტიურობდნენ საზოგადოებრივი, პარტიული, კომკავშირული, ფიზკულტურული ორგანოები. ახალბედა ფალავანთა წარმატებებიც სწორედ ამან განაპირობა. ქებით უნდა მოვიხსენიოთ ყვარლის, ახალციხის, კასპის, ცაგერის, ლენინგორის ფიზკულტურული კომიტეტების საქმიანობა. მათ დიდი დახმარება გაუწიეს პარტიულმა და კომკავშირულმა აქტივმაც და შეჯიბრებები ორგანიზებულად ჩატარდა.

სამწუხაროდ, ყველგან ენთუზიაზმით როდი მოეკიდნენ ამ საქმეს. მაგალითად, ქობულეთისა და ტყვარჩელის ფიზკულტურულმა კომიტეტებმა უსახსრობა მოიმიზეზეს და უარი განაცხადეს შეჯიბრების ჩატარებაზე. მიზეზი, რა თქმა უნდა, ნაკლებად დამაჯერებელია. თუ გული გულობს, გამოსავლის პოვნა მუდამ შეიძლება.

გაკიცხვის ღირსნი არიან რუსთავის (თავმჯდომარე ო. ჯებაშვილი) და ახმეტის (თავმჯდომარე გ. ქოჩიშვილი) ფიზკულტურის კომიტეტები, რომლებმაც არ მიავლინეს მოჭიდავეები ყვარლის ზონაში. განა დასაშვებია, რომ ქართული ჭიდაობის ზეიმში არ მონაწილეობდნენ ახმეტელი ან რუსთაველი მოჭიდავეები?

როგორც ჩანს, აღნიშნულ რაიონებსა და ქალაქებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ამ სახეობის განვითარებას. იგივე უნდა ითქვას საგარეჯოს რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის (თავმჯდომარე ვ. ქაიხოსროშვილი) მიმართ, რომელიც წლების მანძილზე უყურადღებობას იჩენს სხვადასხვა რესპუბლიკური ღონისძიებისადმი. საგარეჯოს სპორტის მესვეურთა საქმიანობა ხულმალე საქართველოს სპორტკომიტეტის მსჯელობის საგანი გახდება.

24-25 ივნისს თბილისის სპორტის სასახლეში ზონებში გამარჯვებულთა ფინალური შეხვედრები გაიმართება. ჩვენს მწვრთნელებს საშუალება ექნებათ შეარჩიონ ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდობა, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს არა მარტო ქართული, არამედ ჭიდაობის სხვა სახეობების შემდგომ განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში.

შ. ბალავაძე,
საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

# თბილისში, რუსთავში...

ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს პროფკავშირთა იმ დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტებისა და სპორტკლუბების სპარტაკიადა, რომელთაც „განთიადის" ცენტრალური საბჭო ემსახურება. დოღისძიება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება და მიზნად ისახავს ძალთა შემოწმებას პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის, რომელმაც, თავის მხრივ, საკავშირო სპარტაკიადის მონაწილე საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივები უნდა გამოავლინოს.

„განთიადის" სპარტაკიადის პროგრამით ჭადრაკში, საგზატკეცილო ველორბოლასა და ძალოსნობაში გამარჯვებული გუნდები და სპორტსმენები უკვე ცნობილი არიან.

მოჭადრაკეთა ტურნირის მონაწილე 10 კოლექტივი თავდაპირველად ორ ქვეჯგუფად განაწილდა. ყოველ კოლექტივს სამ-სამი ვაჟი და თითო ქალი გამოჰყავდა.

პირველ ჯგუფში მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტის ნაკრებმა გაიმარჯვა, მეორეში — საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტის გუნდმა. ქვეჯგუფებში გამარჯვებულებმა ფინალში I-II ადგილებისთვის ითამაშეს, II ადგილებზე გასულმა კოლექტივებმა კი III-IV ადგილებისთვის...

მანქანათმშენებლებმა, რომელთა გუნდში გ. კალატოზიშვილი, მ. ლეჟავა, ა. ხუციშვილი და მ. გაგნიძე გამოდიოდნენ, გადამწყვეტი მატჩი მოუგეს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის კავშირის კოლექტივს (3:1), რითაც ჩემპიონობა დაისაკუთრეს. III ადგილი მოიპოვეს ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მოჭადრაკეებმა.

ველოსიპედისტები უძლიერესის სახელისთვის თბილისის ზღვის ირგვლივ მოწყობილ ტრასაზე იბრძოდნენ. პროგრამაში იყო 25 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლა, 75 კილომეტრზე ჯგუფური რბოლა და 50 კილომეტრზე გუნდური შეჯიბრება.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა მეტალურგიული მრეწველობის კავშირის კოლექტივმა, რომელმაც მოიგო 75 კილომეტრზე რბოლა, 25 და 50 კილომეტრზე კი შესაბამისად II და III ადგილები დაიკავა. მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის კავშირის ველოსიპედისტები 25 და 50 კილომეტრზე რბოლებში მეტალურგებზე ბევრად უკეთესად გამოვიდნენ — გუნდურ ჩათვლაში ორივე დისტანცია მოიგეს, მაგრამ სამი სახეობის ჯამში II ადგილს დასჯერდნენ. სპორტკლუბ „განთიადის" ველოსიპედისტები საერთო III ადგილზე არიან.

პირად ჩათვლაში 25 კილომეტრზე რბოლა სპორტის ოსტატმა ო. ქაიაშაძემ (მანქანათმშენებლობის კავშირი) მოიგო — 36.22,0. ვეტერან სპორტის ოსტატს ვ. კეხვას (მეტალურგიული მრეწველობის კავშირი) მან 14 წამით აჯობა. III ადგილი დარჩა სპორტის ოსტატ ს. გრიშკევიჩს (საფეიქრო მრეწველობა) — 37.04,0.

სამაგიეროდ, გრიშკევიჩმა თანაგუნდელებთან — პირველთანრიგოსან გ. ხიფაშვილთან, მეორეთანრიგოსნებთან ს. ჩოკურთან და ბ. ახვარაშვილთან ერთად 50 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში იმარჯვა. ამ კვარტეტმა ტრასის გავლას 1:10.25 მოანდომა.

75 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში საპრიზო ადგილები დაიკავეს: ი. კრასავცევმა (მშენებლობისა და საშენ მასალათა კავშირი) — 1:47.00, ა. ვახტანგიშვილმა — 1:47.25 და ი. ვოლკოვმა (ორივე — სპორტკლუბი „განთიადი") — 1:47.26.

ძალოსანთა შეჯიბრებას რუსთავი მასპინძლობდა. პროფკავშირთა დარგობრივი კომიტეტების ტურნირში საუკეთესო აღმოჩნდა მანქანათმშენებელთა კავშირის ნაკრები.

სპორტკლუბების შეჯიბრებაში ყველას თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სპორტკლუბ „გამარჯვების" სპორტსმენებმა აჯობეს. II ადგილზე არიან ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდის", III — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „განთიადის" გუნდები.

პირად პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ს. თათევოსიანმა („გამარჯვება") — 230 კგ, თ. კელდიშვილმა („განთიადი") — 250, ლ. გაფრინდაშვილმა — 280, ვ. ლობჟანიძემ (ორივე — „ფოლადი") — 390, ვ. რიბიცკიმ („კოლხიდა") — 345, ო. დემუროვმა — 430, ი. მეხამიშვილმა — 380, გ. იასუკევიჩმა — 425, ვ. კაზანჯიანმა (ყველა — „გამარჯვება") — 330.

თითქმის მთლიანად სპორტის ოსტატებით დაკომპლექტებული იყო მხოლოდ „გამარჯვების" ნაკრები.

სპარტაკიადისთვის ცუდად მოემზადა ერთ დროს მოწინავე სპორტკლუბ „უშბის" კოლექტივი, რომელმაც ძალოსნობასა და ველოსპორტში ჩათვლა ვერ მიიღო, მოჭადრაკეთა ტურნირში კი მარტო ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენელთა დამარცხება შეძლო.

ძალოსნობაში გამარჯვებულთაგან სპორტის ოსტატის ნორმატივს მხოლოდ ორმა სპორტსმენმა (ლობჟანიძე და დემუროვი) გადააჭარბა. ერთმა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივით გაიმარჯვა, ორმა პირველი თანრიგის შედეგით. პირველი სამი წონის ათლეტებმა მხოლოდ II თანრიგის ნორმატივის შესაბამისი შედეგებით მოიპოვეს პირველობა.

ეს მონაწილეთა სიმცირისა და ბრძოლის ნაკლები სიმწვავის ბრალია. სპორტსმენები გუნდის ინტერესებისთვის უმეტესად თითო ცდას სჯერდებოდნენ. სპორტსმენთა მომზადების დონე უთანაბრო რომ იყო, შემდეგი ფაქტებიც ადასტურებს: უმჩატეს წონაში ფიცარნაგზე სამი ძალოსანი გამოვიდა. თათევოსიანთან ო. საჩალელმა („განთიადი") სამჭიდში 55 კგ წააგო, ბ. სანაიამ (ელექტრომრეწველობა) კი 80. კელდიშვილთან ბრძოლაში ჯ. მამფორია („კოლხიდა") 195 კგ-ს დასჯერდა. მესამე პრიზიორმა ა. პაპალავამ (ქვანახშირის მრეწველობა) სამჭიდში 145 კგ ძლივს მოაგროვა.

სპარტაკიადა გრძელდება.

**რ. მაღრაძე.**

## აჭარის დედაქალაქში

ზღვისპირა პარკის ჩოგბურთის კორტებზე ერთ კვირას მიმდინარეობდა საქალაქო შეჯიბრება კალათბურთში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. ვაჟთა გუნდების ფინალურ შეჯიბრებაში ერთმანეთს შეხვდნენ ინდივიდუალური კერვის ფაბრიკისა და საზღვაოსნო სასწავლებლის წარმომადგენლები. ანგარიშით 67:59 გაიმარჯვეს ინდივიდუალური კერვის ფაბრიკის სპორტსმენებმა (მწვრთნელი ვ. მალიუტინი). ქალთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას აჯობა შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდმა (მწვრთნელი გ. მენაბდე). მან ყველა შეხვედრა მოიგო.

* * *

„დინამოს" სტადიონზე პირველად ჩატარდა აჭარის ტერიტორიული პირად-გუნდური პირველობა მოკლე დისტანციებზე რბენაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავეს ბათუმის სპორტსმენებმა. II ადგილზე გავიდნენ ქობულეთელები, III — ხულოს რაიონის წარმომადგენლები.

* * *

„სპარტაკის" დარბაზში მოეწყო ქალაქის პირად-გუნდური პირველობა ბადმინტონში სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდებს შორის. გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა „სპარტაკის" ძლიერმა კოლექტივმა. მომდევნო ადგილებზე არიან „ბურევესტნიკისა" და „განთიადის" გუნდები. პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: ქალთა შორის — სპარტაკელმა მ. მამინაშვილმა, ვაჟებში — განთიადელმა ე. ავეტისიანმა.

* * *

დამთავრდა „კოლმეურნის" აჭარის საოლქო საბჭოს პირველობა ხელბურთში ქალთა და ვაჟთა კოლექტივებს შორის. ვაჟებში ყველას აჯობა ქობულეთის რაიონის ნაკრებმა, ქალებში — ხელვაჩაურის რაიონის კოლექტივმა.

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## „ოქროს ჩარდახის" ლაურეატი
## სარბიელი — მუხნარის ტყე

ტურიზმი დიდად პოპულარულია ქუთაისის № 1 სამკერვალო გაერთიანების მე-4 ფაბრიკის მუშამოსამსახურეთა შორის. ხშირად ეწყობა ტურისტული ლაშქრობები, შეკრება-შეჯიბრებები. მკერავებს დიდხანს ემახსოვრებათ წარმან ხვამლის მთაზე მოწყობილი შეჯიბრება, ტივით მოგზაურობა მდინარე რიონზე ვარციხიდან ფოთამდე და სხვა საინტერესო ღონისძიებები.

... ფაბრიკის კლუბში მოწყობილი ტურისტული საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ კ. ჩოგოვაძემ. კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მ. დეისაძემ, საგამომჭრელო საამქროს პარტბიუროს მდივანმა ე. ნაცვლიშვილმა, მუშა ე. დეისაძემ, ტურისტული სექციის ხელმძღვანელმა ჯ. გაზდელიანმა ილაპარაკეს უკვე ჩატარებულ და მომავლისთვის გათვალისწინებულ ღონისძიებებზე.

ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს 1971 წელს ტურიზმში მოპოვებული წარმატებებისთვის ქუთაისის ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის" სიგელი გადაეცა.

70 მკერავმა მიიღო სსრ კავშირის ტურისტის ნიშანი და მოწმობა.

* * *

მაისში ახალგაზრდობის ტრადიციული დღესასწაული ეწყობა. ყოველწლიურად იკრიბებიან მუხნარის ტყეში ახალგაზრდები — საწარმო-დაწესებულებათა, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები... წლეულსაც ასე იყო. ახალგაზრდობის საზეიმო საქალაქო შეკრებას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ბოჭოიძე, მდივანი თ. ვარდანაშვილი, საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ფაჩუაშვილი, მეორე მდივანი რ. მხეიძე და სხვ.

ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ტურისტულ მრავალჭიდში, კროსში.

ჩატარდა შეჯიბრება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში.

ტურისტულ მრავალჭიდში გაიმარჯვა ელექტრომექანიკური ქარხნის გუნდმა, რომელსაც სიგელი გადაეცა.

**შ. ნიჟარაძე.**
(ჩვენი კორ).

ქუთაისი.

## სეზონის შედეგები შეაჯამეს

გაიმართა საქართველოს სამთოსათხილამურო სპორტის ფედერაციის პლენუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს მოთხილამურეთა მთავარი მწვრთნელის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის შ. ნავერიანის, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის ძ. ასტახიშვილისა და მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარის, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის მ. გაბუნიას მოხსენებები სეზონში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხსენებლებმა ილაპარაკეს საქართველოს მოთხილამურეთა მიღწევებზე, ბაზების მდგომარეობაზე, საპოროს ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში სსრ კავშირის ნაკრებისთვის გაწეულ დახმარებაზე, საქართველოში სათხილამურო სპორტის განვითარებაში არსებულ ხარვეზებზე.

კამათის მონაწილეებმა: სამთომოთხილამურეთა ნაკრების მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა ი. ოგანეზოვმა, მხტომელთა მწვრთნელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ნ. თვაურმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა პ. წაქაძემ, „დინამოს" მოთხილამურეთა სპეციალიზებული სპორტული სკოლის დირექტორმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა პ. კოზანაშვილმა, უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლის დირექტორმა ნ. დუმბაძემ, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, მესტიელმა გ. ჯაფარიძემ, ახალქალაქის სპორტსკოლის დირექტორმა ა. ადამიანცმა, მოციგაველთა ნაკრების მწვრთნელმა ა. ქუმარიტაშვილმა, სამხატვრო აკადემიის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ გ. ჯაფარიძემ, მორბენალთა ნაკრების მწვრთნელმა ა. სანაკოევმა, სპორტის ოსტატმა ი. ნასყიდაშვილმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის ტურიზმის, ალპინიზმისა და სამთოსათხილამურო სპორტის კათედრის გამგემ ლ. გიორგაძემ, თბილისის უცხო ენათა პედინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის მასწავლებელმა ქ. ლომინაძემ, ვეტერანმა სპორტის ოსტატმა ა. გვალიამ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. ჭოსკომ განსაკუთრებით აღნიშნეს უმაღლესი ხარისხის ინვენტარის ნაკლებობა, სასწავლო ტრამპლინის უქონლობა, სწრაფდაშვების ტრასის ვაჭიანურებული მშენებლობა, რეზერვის აღზრდის უკმარი ტემპი, აღნიშნეს ისიც, რომ ბაკურიანის გარდა, რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის ზრუნვა ნაკლებად იგრძნობა.

ითქვა, რომ მესტიის, ამბროლაურის, ახალქალაქის, ყაზბეგის, დუშეთისა და სხვა რაიონებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, შეიქმნას პირობები ნიჭიერი მოთხილამურეების აღზრდისთვის. სამთომოთხილამურე ქალთა აღზრდას ნაკლები ყურადღება ექცევა. იყო შემთხვევები, როცა ნაკრების წევრებიც კი წვრთნას სერიოზულად არ ეკიდებოდნენ.

სათხილამურო სპორტის განვითარებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია მოზარდთა შორის ამ სახეობის მასობრივად დანერგვას. ბაკურიანის გარდა არსადაა სამთოსათხილამურო ტრასები, ტრამპლინი. მოციგავეებს რესპუბლიკაში ერთი ტრასაც არა აქვთ, აკლიათ ინვენტარი. საჭიროა ამ სახეობაში ჯგუფი მესტიაშიც გაიხსნას. სათხილამურო და საციგაო სპორტში ექიმები ნაკრების წევრთა მეცადინეობებსაც კი არ ესწრებიან.

ყოველივე ამის გამო იყო, რომ საქართველოში სათხილამურო სპორტში წლეულს მხოლოდ ერთი სპორტის ოსტატი მომზადდა, ციგაობაში — ორი სპორტის ოსტატობის კანდიდატი და რბენაში — ერთი სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

პლენუმზე თბილისის 50-ე სკოლის მეათეკლასელ გ. ლომინაძეს, რომელმაც წლეულს სამთოსათხილამურო სპორტში იუნიორთა საკავშირო ჩემპიონის სახელი მოიპოვა და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, სპორტის ოსტატის სამკერდე ნიშანი და მოწმობა გადაეცა.

საპოროს ოლიმპიადისთვის სსრ კავშირის ნაკრების მზადების პერიოდში გაწეული მუშაობისთვის ფ. ნავერიანს, საქართველოს სათხილამურო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარეს თ. ფხაკაძესა და ბაკურიანის სათხილამურო ბაზა-პანსიონატის დირექტორს ვ. ფანჯაკიძეს ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის სიგელები გადაეცათ.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

## „ხანძარი" სტადიონზე

ქუთაისის სახანძრო რაზმების სპორტულ ბაზებზე სამ დღეს მიმდინარეობდა რესპუბლიკური (დასავლეთის ზონა) პირად-გუნდური პირველობა სახანძრო-გამოყენებით სპორტში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ აბაშის, გეგეჭკორის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მახარაძის, ქობულეთის, სამტრედიის, წულუკიძის, ცხაკაიას, ჭიათურის, მაიაკოვსკის, საჩხერის, წალენჯიხის, წყალტუბოსა და ტყიბულის ნაკრები გუნდები.

100 მეტრზე დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში I ადგილი მოიპოვა სამტრედიის გუნდის წევრმა, სპორტის ოსტატმა ნ. კოხრეიძემ — 19,9 წამი. გუნდური I ადგილი მახარაძის ნაკრებმა დაისაკუთრა. II და III ადგილებზე არიან ქობულეთისა და სამტრედიის გუნდები.

4×100 მეტრზე ესტაფეტაში პირველობა იოლად მოიგო მახარაძის გუნდმა. მახარაძელებმა გაიმარჯვეს კიბით სასწავლო კოშკის მესამე სართულზე ასვლაშიც.

ათეულის საბრძოლო გაშლა ბრწყინვალედ შეასრულა წყალტუბოელთა კოლექტივმა.

საერთო გუნდური I ადგილი დამსახურებულად მოიპოვა მახარაძის ნაკრებმა — 7046 ქულა. II ადგილზეა ქობულეთის გუნდი — 6021, III — ცხაკაიას მეხანძრეთა კოლექტივი.

**ლ. ფაჩუაშვილი,**
ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ინსტრუქტორი.

* * *

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ავტორის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მატჩები, გოლები

22 ივნისს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“.

გაიმარჯვეს ტორპედოელებმა — 1:0. ბურთი გაიტანა ნიკონოვმა.

## გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩემპიონატის მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო“ და ცსკა. თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

ასევე ფრედ, ოღონდ ანგარიშით 1:1, დასრულდა მატჩი ალმა-ათაში: „ყაირათი“ — კიევის „დინამო“.

## უმაღლესი ლიგა

## ფეხბურთი-72

ССР კავშირის პირველობა

# შინ — კვლავ გამარჯვება

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 21 ივნისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0 (1:0).

„ტორპედო“: კავაზაშვილი, მაზიაშვილი, რეხვიაშვილი, წვერავა, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ლენიოვი, ამბარცუმიანი (შელია), ვეკუა (ზ. სილაგაძე), ხერხაძე, ჯ. სილაგაძე.

„მეტალურგი“: გურგაჩი, ტომახი, ზაიცევი, სიზოვი (გუბანი), ტიმოშენკო, გოლიკოვი, პენზინი (ნოვიკოვი), კუტინი, კულიჩენოვი, ერიომენკო, ჩორბა (ზაბუდკო).

მსაჯი ვ. ისკრა (დონის როსტოვი).

დუბლიორები — 4:2 „ტორპედოს“ სასარგებლოდ.

## I ლიგა

სტუმრად ბოლო ორი მატჩი ტორპედოელებმა კვლავ წააგეს და ერთი შეხვედრა — გათამაშების აუტსაიდერთან. ეს ცუდი ტრადიცია ჯერჯერობით გრძელდება. „ტორპედომ“ წლეულს სტუმრად 12 შესაძლებლიდან 9 ქულა დაკარგა. რა თქმა უნდა, ასეთი დანაკარგი მძიმე დაღს ამჩნევს ჩვენს გუნდს, რომელიც უმაღლეს ლიგაში დაბრუნების ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია. გუნდი რომ ოდნავ მაინც უკეთესად თამაშობდეს სტუმრად, ცხადია, მისი საერთო შესაძლებლობანი მთავარი მიზნის მისაღწევად გაცილებით უკეთესი იქნებოდა. და ეს მაშინ, როცა ტორპედოელთა მთავარი კონკურენტები ბევრად უკეთ თამაშობენ მეტოქეთა მინდვრებზე. ეტყობა, აქ საქმე გვაქვს არა გუნდის საერთო სიძლიერესთან, მის ტაქტიკურ, ტექნიკურ თუ ფიზიკურ მომზადებასთან, არამედ ენებისყოფობასთან. „უცხო კედლების“ ეს ერთობ არასახარბიელო ფაქტორი უნდა ამოიკვეთოს, თორემ მხოლოდ საკუთარ მინდორზე აღებული ქულებით ფონს ვერ გავალთ.

ახლა „მეტალურგთან“ მატჩის შესახებ. მასპინძლებმა იგი თავიდანვე ძლიერი შეტევით დაიწყეს. პირველი 5 წუთის განმავლობაში ვეკუა ზედიზედ ორჯერ აღმოჩნდა საგოლე პოზიციაში და ორივეჯერ მცველებმა ბოლო მომენტში შეძლეს მდგომარეობის ხსნა. შემდეგ მეტალურგებმა განახორციელეს სწრაფი კონტრშეტევა და კუტინმა ასევე ვერ გამოიყენა კარგი მომენტი. ამას გარდა, კავაზაშვილს ძნელი ბურთის აღება მოუხდა ტიმოშენკოსგან.

ანგარიში გაიხსნა მე-18 წუთზე. ლენიოვის დარტყმული ბურთი მოხვდა სტუმართა რომელიღაც მცველს და ბადეში აღმოჩნდა — 1:0.

ქუთაისელებს ჯერ კიდევ შესვენებამდე შეეძლოთ კიდევ უფრო დაწინაურება, მაგრამ ჯერ ჭოხონელიძემ ააცილა ბურთი კარს, შემდეგ კი გურგაჩმა აიღო ძნელი ბურთები ხერხაძისა და ჯ. სილაგაძისგან.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა თითქმის მთლიანად მეტოქის ნახევარზე გაატარეს. გუნდის იერიშებში ხშირად მონაწილეობდნენ მცველებიც, განსაკუთრებით, ჭოხონელიძე და მაზიაშვილი. მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყდა უკვე მაშინ, როცა ჯ. სილაგაძემ ზუსტად გადააწოდა ბურთი გარღვევაზე გასულ ხერხაძეს და ამ უკანასკნელმა თავური დარტყმით გაზარდა ანგარიში.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 1:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 2:3, „ზვეზდა“ (პერმი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 2:1, „პამირი“ (დუშანბე) — „ფახტაქორი“ (ტაშკენტი) 1:2, „შახტიორი“ (დონეცკი) — „კრივბასი“ (კრივოი როგი) 2:2, „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 2:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახტაქორი“ | 15 | 10 | 3 | 2 | 26—13 | 23 |
| „ტორპედო“ | 14 | 9 | 1 | 4 | 24—8 | 19 |
| „ჩერნომორ.“ | 13 | 8 | 3 | 2 | 25—11 | 19 |
| „შახტ.“ (დ.) | 15 | 5 | 9 | 1 | 18—8 | 19 |
| „სპარტაკი“ | 15 | 7 | 4 | 4 | 18—15 | 18 |
| „ზვეზდა“ | 14 | 7 | 4 | 3 | 14—11 | 18 |
| „პამირი“ | 15 | 7 | 4 | 4 | 20—18 | 18 |
| „კრ. სოვეტ.“ | 14 | 3 | 11 | 0 | 14—11 | 17 |
| „შახტ.“ (ყ.) | 14 | 5 | 5 | 4 | 15—12 | 15 |
| „შინიკი“ | 15 | 6 | 3 | 6 | 12—14 | 15 |
| „ალგა“ | 14 | 3 | 7 | 4 | 12—10 | 13 |
| „ავტომობ.“ | 14 | 3 | 7 | 4 | 13—14 | 13 |
| „მეტალის.“ | 15 | 4 | 5 | 6 | 15—17 | 13 |
| „დინამო“ | 14 | 3 | 5 | 6 | 11—18 | 11 |
| „სტროიტ.“ | 14 | 4 | 3 | 7 | 16—28 | 11 |
| „მეტალურ.“ | 14 | 3 | 4 | 7 | 19—19 | 10 |
| „კრივბასი“ | 14 | 3 | 4 | 7 | 17—27 | 10 |
| „ნისტრუ“ | 13 | 3 | 3 | 7 | 10—20 | 9 |
| „ტექსტილ.“ | 14 | 1 | 5 | 8 | 10—25 | 7 |
| „ურალმაში“ | 14 | 1 | 4 | 9 | 12—22 | 6 |

## II ლიგა III ზონა

20 ივნისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები. ამ ტურიდან ჩვენ გამოქვეყნებული არ გვქონდა ერთი შედეგი: „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 4:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 12 | 7 | 5 | 0 | 21—6 | 19 |
| „ყუბანი“ (კრასნოდარი) | 12 | 7 | 3 | 2 | 20—4 | 17 |
| „დრუჟბა“ (მაიკოპი) | 11 | 5 | 5 | 1 | 10—4 | 15 |
| „დილა“ (გორი) | 13 | 5 | 5 | 3 | 13—8 | 15 |
| „მაშინოსტროიტელი“ (პოდოლ.) | 12 | 6 | 3 | 3 | 11—9 | 15 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 12 | 7 | 0 | 5 | 17—15 | 14 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 11 | 5 | 3 | 3 | 16—13 | 13 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 11 | 4 | 4 | 3 | 13—11 | 12 |
| „სალუტი“ (ბელგოროდი) | 12 | 3 | 6 | 3 | 7—8 | 12 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 11 | 5 | 2 | 4 | 12—14 | 12 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 11 | 3 | 5 | 3 | 10—11 | 11 |
| „ზვეზდა“ (ტირასპოლი) | 11 | 5 | 1 | 5 | 8—9 | 11 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 12 | 3 | 5 | 4 | 12—15 | 11 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 12 | 3 | 4 | 5 | 12—12 | 10 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 11 | 3 | 3 | 5 | 6—12 | 9 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 11 | 3 | 2 | 6 | 14—17 | 8 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 11 | 2 | 4 | 5 | 9—15 | 8 |
| „სპარტაკი“ (ორიოლი) | 13 | 0 | 7 | 6 | 6—13 | 7 |
| „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) | 13 | 0 | 3 | 10 | 6—27 | 3 |

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა I ჯგუფის გუნდების მორიგი შეხვედრები.

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

ხობელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს კუდრიაშოვისა და ჩხოლარიას მიერ გატანილი 2 ბურთის წყალობით.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია ცხაკაიელი ი. ქველია.

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

დაწინაურდნენ სტუმრები, მაგრამ ლოკომოტიველებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში და 3 ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში (ხოფერია, გაგუა, სართანია).

● „ივერია“ (ხაშური) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

● „გიგანტი“ (ლაითური) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

მიუხედავად იმისა, რომ ტაიმი „გიგანტის“ უპირატესობით მიმდინარეობდა, მე-15 წუთზე წარმატებას სტუმრებმა (ალმასია) მიაღწიეს. შემდგომში ინიციატივას ზუგდიდელები დაეპატრონენ, რომლებმაც შეინარჩუნეს კიდეც ანგარიში.

არასპორტული საქციელისთვის გაფრთხილებული არიან ზუგდიდელი ლ. დარასელია და ლაითურელი მ. სარიშვილი.

● „სამცხე“ (აწყური) — „კახეთი“ (თელავი) 0:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

● „ისანი“ (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 3:2. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (ქუთაისი).

ბურთები გაიტანეს: ისნელთაგან — გოცირიძემ (2) და მელიქიძემ, ხოლო სტუმართა მხრივ — ჩხეტიამ და ოდიშარიამ.

● ასკ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:2. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

დასაწყისში მდგომარეობა თანაბარი იყო, შემდგომში კი ინიციატივას დაეუფლნენ სამტრედიელები, რომლებმაც შეძლეს მეტად საჭირო 2 ქულის აღება. ბურთები გაიტანეს კოხრეიძემ და დვალიშვილმა.

● „შუქურა“ (ქობულეთი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

ლიდერთა შეხვედრა მიმდინარეობდა საინტერესოდ, დაძაბულად და, ამავე დროს, კორექტულად. თავდაპირველად აქტიურობდნენ ტყიბულელები, რომლებმაც ანგარიშიც გახსნეს (ქარქაშაძე). შემდგომში „შუქურამ“ უმატა ტემპს და ბეჟანიძემ თანაფარდობა აღადგინა.

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „განთიადი“ (ბორჯომი) 2:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

წულუკიძელებმა პირველი ბურთი თავიანთ კარში მიიღეს, მაგრამ ძლიერად ითამაშეს მატჩის დასასრულს და გაიმარჯვეს გიგინეიშვილის მიერ გატანილი 2 ბურთის მეოხებით.

* * *

თბილისის „სინათლე“ გამოეთიშა რესპუბლიკურ ჩემპიონატს და მისი შედეგები გაუქმებულია.

### II ჯგუფი

I ზონა

„მევენახე“ (ვაზისუბანი) — „კოლმეურნე“ (ტიბაანი) 3:0, „შირაქი“ (წითელი წყარო) — „ვაზი“ (შრომა, გურჯაანის რაიონი) 1:1, „მევენახე“ (ბოლნისი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 3:0, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:3, „თრიალეთი“ (წალკა) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 0:2, „შევარდენი“ (თბილისი) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:1.

II ზონა

„მზიური“ (გალი) — „დინამო“ (ქუთაისი) 4:4, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „კომეტა“ (ფოთი) 1:0, „კახაბერი“ (ხელვაჩაური) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 0:2, „განთიადი“ (აბაშა) — „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) 1:1, „კომეტა“ (ფოთი) — „განახლება“ (ადიგენი) 2:1, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) 2:1, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:1, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:1, „დინამო“ (ქუთაისი) — „დიოსკურია“ (სოხუმი) 3:2, „იმერეთი“ (თერჯოლა) — „მზიური“ (გალი) 3:0.

### გათამაშების ცხრილები

II ჯგუფი

მდგომარეობა 24 ივნისისთვის

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ცისკარი“ (სიღნაღი) | 13 | 9 | 2 | 2 | 16—5 | 20 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 13 | 7 | 4 | 2 | 23—14 | 18 |
| „ვაზი“ (შრომა, გურჯაანის რაიონი) | 12 | 8 | 1 | 3 | 26—11 | 17 |
| „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) | 11 | 8 | 0 | 3 | 33—8 | 16 |
| „შირაქი“ (წითელი წყარო) | 12 | 6 | 3 | 3 | 13—12 | 15 |
| „მევენახე“ (ბოლნისი) | 12 | 5 | 4 | 3 | 19—15 | 14 |
| „მევენახე“ (ვაზისუბანი) | 12 | 5 | 3 | 4 | 19—26 | 13 |
| „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) | 12 | 5 | 2 | 5 | 23—17 | 12 |
| „ვარძია“ (ასპინძა) | 12 | 5 | 1 | 6 | 16—16 | 11 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 10 | 4 | 2 | 4 | 14—13 | 10 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 12 | 4 | 3 | 5 | 15—15 | 10 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 12 | 3 | 4 | 5 | 10—16 | 10 |
| „შევარდენი“ (თბილისი) | 11 | 2 | 3 | 6 | 10—16 | 7 |
| „ბახტრიონი“ (ახმეტა) | 10 | 3 | 2 | 5 | 6—13 | 7 |
| „კოლმეურნე“ (ტიბაანი) | 11 | 2 | 2 | 7 | 13—24 | 6 |
| „გარისი“ (თეთრი წყარო) | 11 | 2 | 0 | 9 | 12—33 | 4 |
| „თრიალეთი“ (წალკა) | 8 | 1 | 0 | 7 | 7—21 | 2 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 11 | 9 | 2 | 0 | 34—6 | 20 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 12 | 7 | 3 | 2 | 24—7 | 17 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 11 | 7 | 3 | 1 | 18—6 | 17 |
| „დინამო“ (ქუთაისი) | 11 | 6 | 3 | 2 | 28—14 | 15 |
| „განახლება“ (ადიგენი) | 12 | 7 | 1 | 4 | 20—14 | 15 |
| „იმერეთი“ (თერჯოლა) | 12 | 6 | 2 | 4 | 17—13 | 14 |
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) | 11 | 6 | 1 | 4 | 15—9 | 13 |
| „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) | 12 | 6 | 1 | 5 | 17—16 | 13 |
| ხდკ (სამტრედია) | 11 | 4 | 4 | 3 | 16—17 | 12 |
| „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) | 12 | 4 | 3 | 5 | 27—14 | 11 |
| „კომეტა“ (ფოთი) | 11 | 4 | 3 | 4 | 14—11 | 11 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 12 | 4 | 3 | 5 | 14—15 | 11 |
| „მზიური“ (გალი) | 13 | 4 | 2 | 7 | 9—22 | 10 |
| „დიოსკურია“ (სოხუმი) | 13 | 4 | 1 | 8 | 23—22 | 9 |
| „განთიადი“ (აბაშა) | 13 | 3 | 2 | 8 | 8—21 | 8 |
| „კახაბერი“ (ხელვაჩაური) | 12 | 1 | 1 | 10 | 12—53 | 3 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 11 | 0 | 1 | 10 | 7—43 | 1 |

# ბრაზილიისკენ...

სსრ კავშირის კლუბების ნაკრები გუნდი 25 ივნისს გაემგზავრება ბრაზილიას ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ. საბჭოთა გუნდი ბრძოლაში ჩაებმება გათამაშების დასკვნით ეტაპზე ბრაზილიის, ურუგვაის, შოტლანდიის, ჩეხოსლოვაკიისა და სამ ჯგუფში გამარჯვებულ გუნდებთან ერთად.

საბჭოთა ნაკრები დაკომპლექტებულია ვოროშილოვგრადის „ზარიას“ ბაზაზე. ამ გუნდიდან ბრაზილიას მიემგზავრებიან ა. ფორკაში, ა. ტკაჩენკო, ვ. აბრამოვი, ს. კუზნეცოვი, ა. ჟურავლიოვი, ვ. მალიგინი, ნ. პინჩუკი, ვ. კუზნეცოვი, ა. კუკსოვი, ს. მოროზოვი, ი. ვასენინი, ვ. სემიონოვი, ი. ელისეევი, ვ. კოპიი, ვ. ონიშჩენკო, კოლექტივში შევიდნენ, აგრეთვე, ე. ლოვჩევი (მოსკოვის „სპარტაკი“), ა. ბიშოვეცი (კიევის „დინამო“), ა. შესტერნიოვი (ცსკა) და კ. ასათიანი (თბილისის „დინამო“).

ნაკრების მწვრთნელები არიან გ. ზონინი და ო. ოშენკოვი, გუნდის ხელმძღვანელი კი საკავშირო სპორტკავშირის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. არტემიევი.

## 26 და 30 ივნისს

ახალგაზრდულ გუნდების ევროპული ჩემპიონატის ფინალში, როგორც ცნობილია, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელები გავიდნენ.

გადაწყდა ფინალისტთა შეხვედრების ვადები. პირველი ფინალური მატჩი მოსკოვში შედგება 26 ივნისს, ხოლო განმეორებითი — 30 ივნისს ჩეხოსლოვაკიაში.

**ვარშავა, 22 ივნისი.** ზაბჟეს „გურნიკმა“ დაამარცხა კრაკოვის „ვისლა“ (5:1) და ზედიზედ მესამედ მოიპოვა პოლონეთის ჩემპიონობა, აგრეთვე, გააკეთა „დუბლი“, ესე იგი, მოიგო თასიც. „გურნიკმა“ 26 მატჩში დააგროვა 37 ქულა, გაიტანა 45 ბურთი და მიიღო 23. გუნდის საუკეთესო სნაიპერია ვ. ლიუბანსკი, რომლის ანგარიშზე 14 ბურთი მოდის.

**სოფია, 22 ივნისი.** აქ შედგა ბულგარეთისა და იტალიის ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა. ანგარიში 43-ე წუთზე გახსნა ბულგარელმა ბონევმა, 50-ე წუთზე ჩინალიამ საპასუხო ბურთი გაიტანა— 1:1. მატჩმა 20 ათას მაყურებელს მოუყარა თავი.

**ჰელსინკი, 22 ივნისი.** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ფინეთისა და ალბანეთის ნაკრები გუნდები. მე-13 წუთზე ტაივოლას მიერ გატანილმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა ფინელებს — 1:0.

ზემოაღნიშნული გუნდები შესარჩევი ტურნირის IV ევროპულ ჯგუფში თამაშობენ გდრ-ისა და რუმინეთის ფეხბურთელებთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მხიარული დელფინის“ საქალაქო შეჯიბრებაში „შრომითი რეზერვების“ პავშვთა სპორტული სკოლის აღსაზრდელმა გ. აბაზოვმა 10-11 წლის ბიჭების შეჯიბრებაში ორი გამარჯვება მოიპოვა: 100 მეტრზე თავისუფალი და ბრასის სტილით ცურვაში.

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისელი გ. აბაზოვი თავისუფალი სტილით ცურვის დროს.

ა. გურასაშვილის ფოტო.



# მიუნხენი-72

● პრაღა, 22 ივნისი. „რომიცკის მემორიალში“ მოასპარეზე ე. გლეზკოვამ 100 მეტრზე რბენის ფინალში I ადგილიც დაიკავა და ჩეხოსლოვაკიის რეკორდიც დაამყარა — 11,1 წამი. ვაჟთა შორის პროგრამის ამ სახეობაში პირველი იყო კუბელი გ. რამირესი — 10,0. 110 მეტრზე თარჯრბენი კუბის რეკორდით მოიგო ა. კასანასმა — 13,4. ასეთივე დრო ჰქონდა ფ. ზიბეკს (გდრ). ფი, სხვა შედეგებიც: გ ა ქ ე ბ ი. ბირთვი. ნ. ასადი (არაბეთის რესპუბლიკა ეგვიპტე) — 20,71 მ, ი. ბრაბეცი — 20,14; ბადრო. ლ. დანეკი (ორივე — ჩეხოსლოვაკია) — 62,10 მ; სიმაღლეზე ხტომა. ს. იუნგე (გდრ) — 218 სმ. ქ ა ლ ე ბ ი. 800 მ. ი. ეგლიჩკოვა (ჩეხოსლოვაკია) — 2.06,3, ს. შტულა (სსრ კავშირი) — 2.06,5; სიმაღლეზე ხტომა. რ. გილდიამაისტერი (გდრ) — 183 სმ; ბირთვი. გ. დოლჟენკო (სსრ კავშირი) — 17,40 მ.

● ლუვენი, 22 ივნისი. დიდი ბრიტანეთის ოლიმპიური იმედი, 5 და 10 კილომეტრზე რბენაში ევროპის რეკორდსმენი დ. ბედფორდი აქ გამართულ შეჯიბრებაში 3000-მეტრიანი დისტანციის ფინიშთან მეორე მივიდა — წინ ბელგიელი ე. პუტემანსი გაუშვა (სტაიერულ დისტანციებზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენი, ავსტრალიელი რ. კლარკი პუტემანსს ოლიმპიადაში 5000 მეტრზე რბენაში გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს). ბელგიელის დრო 7.44,2, ბედფორდისა — 7.46,4 (ინგლისის რეკორდი).

● ვარშავა, 22 ივნისი. საერთაშორისო შეჯიბრებაში ბულგარელმა დ. იორგოვამ ეროვნული რეკორდი დაამყარა სიგრძეზე ხტომაში — 660 სმ. ამ 30 წლის სპორტსმენმა, ორი ოლიმპიადისა და ევროპის ოთხი ჩემპიონატის მონაწილემ ოლიმპიურ სეზონში ერთ-ერთ საუკეთესო შედეგს მიაღწია მსოფლიოში. ბულგარეთის რეკორდი დაამყარა პ. ბოგდანოვმაც, რომელიც 216 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო.

● ბუდაპეშტი, 22 ივნისი. 27 წლის მაგდა ვიდოშ-პაულანიიმ (უნგრეთი) 59,90 მეტრზე ტყორცნა შუბი. ბადროს მტყორცნელ ვაჟთა შორის ბადალი არ ჰყავდა რ. ბრუხს (შვეცია) — 64,20 მ.

● უოლნატი, 22 ივნისი. კალიფორნიის ამ ქალაქში გაიმართა ჭოკით მხტომელთა სპეციალური შეჯიბრება. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბ. სიგრენმა (აშშ) 538 სმ სიმაღლე გადალახა.

● ჰელსინკი, 22 ივნისი. ფინეთის ჰოკეისტთა ნაკრების მწვრთნელის ს. ლიიტსოლას გადადგომის შემდეგ ჰოკეის ეროვნული კავშირის ხელმძღვანელობამ ამ თანამდებობაზე კანადელი ლ. ლანდი მოიწვია. შარშან ლანდი ტამპერეს „ილვესის“ მოთამაშე მწვრთნელი გახლდათ და ამ გუნდმა მისი ხელმძღვანელობით ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. ლანდი ერთდროულად „ილვესშიც“ განაგრძობს მოღვაწეობას, მაგრამ თვითონ აღარ ითამაშებს. ფინეთის ნაკრების ახალი მწვრთნელი თავისი მოვალეობის შესრულებას 1 აგვისტოს შეუდგება და უმალვე საწვრთნელი შეკრების ჩატარებას აპირებს.

● პრაღა, 22 ივნისი. ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა პირველმა და მეორე ნაკრებმა გუნდებმა გამართეს საწვრთნელი მატჩი, რომელიც ფრედ დამთავრდა — 3:3. მსოფლიო ჩემპიონთაგან შაიბები გაიტანეს მცველებმა მახაჩმა, ხორეშოვსკიმ და თავდამსხმელმა ე. ნოვაკმა, ხოლო მეორე ნაკრების წევრთაგან — კაიკლმა, ფიალამ და ნოვიმ.

● ბოსტონი, 22 ივნისი. პროფესიული ჰოკეის ყველაზე ცნობილმა ვარსკვლავმა, „ბოსტონ ბრიუინზის“ მცველმა ბობი ორმა მენისკის ოპერაცია გაიკეთა. როგორც ექიმები ფიქრობენ, სექტემბრის დამდეგს ორი ალბათ ვერ გამოვა კანადისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩებში.

# „სპორტის დედოფლის“ რაინდთა თავყრილობა

ძმები ზნამენსკების ტრადიციული, რიგით მე-15 მემორიალი 27-29 ივნისს მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ყველა უძლიერეს საბჭოთა მძლეოსანსა და 14 ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს მოუყრის თავს. ეს შეჯიბრება, რომელმაც ძალიან დიდი პოპულარობა მოიხვეჭა სპორტულ სამყაროში, ამჯერად ორ დღეს კი არ გაგრძელდება, არამედ, პროგრამის გაფართოების გამო, სამ დღეს.

სტუმართა შორის ბევრ საქვეყნოდ სახელგანთქმულ მძლეოსანს ვნახავთ. მაგალითად, ბადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენის, ერევნელი ფაინა მელნიკის მეტოქეებად მოგვევლინებიან რუმინელები ა. მენისი (მას მეორე შედეგი ეკუთვნის მძლეოსნობის ისტორიაში) და ოლიმპიური ჩემპიონი ლ. მანოლიუ. ვენესუელელი სპრინტერებისთვის მემორიალი წლეულს პირველი სარბიელი იქნება ევროპაში. ტურნირის მონაწილეთა შორის „უხუცესის“ ტიტული უკვე გაინაღდა ისლანდიელმა მტყორცნელმა გ. ჰერმანსონმა — იგი 47 წლისაა.

ტრადიციისამებრ, ასპარეზობის მთავარი პრიზები რბენის სამ სახეობაში (1500, 5000 და 10000 მ) გათამაშდება, რომლებშიც რეკორდებს ამყარებდნენ სერაფიმ და გიორგი ზნამენსკები. მორბენლებს ცნობილი ძმების მეგობრები — საბჭოთა მძლეოსნობის ვეტერანები მისცემენ სტარტებს.

# ცეცხლის ხაზზე

## ლიდერობს ოლიმპიური ჩემპიონი

მოსკოვი, 21 ივნისი. ადგილობრივი „ლოკომოტივის“ სასროლეთზე დღეს 180 მესტენდურე ჩაება საკავშირო ჩემპიონატში. მრგვალ სტენდზე ორი სერიის შემდეგ დაწინაურდა ოლიმპიური ჩემპიონი, მოსკოველი ე. პეტროვი. II ადგილზეა ევროპის ჩემპიონი, ფრუნზელი ვ. ანდრეევი.

თუ ამ სახეობაში ლიდერობა გამოცდილმა სპორტსმენებმა იგდეს ხელთ, ადგილიდან სროლაში თავი გამოიჩინა 24 წლის შაულიაიელმა მსროლელმა მ. ბერნოტასმა. მან ჩამოიტოვა ისეთი ცნობილი მესტენდურეები, როგორიც არიან პ. სენიჩევი და ა. ალიპოვი. შეძლებს კი ახალგაზრდა მსროლელი მოწინავე პოზიციის შენარჩუნებას? ამ შეკითხვაზე მომდევნო დღეების შეჯიბრებები გვიპასუხებს.

## კვლავ პირველ ადგილზე

მოსკოვი, 22 ივნისი. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონს, როსტოველ იულია კლეკოვას სსრ კავშირის უძლიერესი მესტენდურის სახელი პირველმა მისმა მეუღლემ, სროლაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ალექსეიმ მიულოცა. ერთწლიანი „შესვენების“ შემდეგ იულიამ კვლავ I ადგილი მოიპოვა ადგილიდან სროლაში — 136 ქულა 150-დან. მან ბევრად ჩამოიტოვა მთავარი მეტოქეები. II ადგილზე გასულმა, 1971 წლის მსოფლიო ჩემპიონმა გ. ხომუტოვამ მხოლოდ 129 თეფში გატეხა, ხოლო მესამე პრიზიორმა ე. სენიჩევამ (ორივე — მოსკოვი) — 126.

— ბოლო სერიამდე არ ვიცოდი ვინ გაიმარჯვებდა: არ მიყვარს მეტოქეთა შედეგებისთვის თვალყურის დევნება, — თქვა კლეკოვამ. — ამჯერად ძალიან გამიჭირდა, ვინაიდან ერთი წელია თოფი არ ამიღია ხელში. ვაჟი შემეძინა, თანაც ამ ხნის განმავლობაში ბიოლოგიის მასწავლებლის დიპლომი მივიღე.

მრგვალ სტენდზე ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა ვორონეჟელმა ე. შებაშოვამ — 136 ქულა. II ადგილზეა ლენინგრადელი კ. სმირნოვა (129), III — ჟიტომირელი ლ. შჩიპეცი (124).

ადგილიდან სროლაში გუნდური ჩათვლა დინამოელებმა მოიგეს — 557 ქულა 600-დან. მრგვალ სტენდზე საუკეთესონი იყვნენ შეიარაღებული ძალების სპორტსმენები — 580 ქულა.

## ... ვერცხლზე „გაცვალა“

მინსკი, 22 ივნისი. მოსკოველმა გ. კოსიხმა საკავშირო ჩემპიონატის პირველ დღეს ნებისმიერი მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში 566 ქულა დააგროვა, 4 ქულით მეტი, ვინემ 1968 წელს მეხიკოში, როცა ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მაგრამ ბელორუსიის დედაქალაქში მას ამ შედეგმა მხოლოდ ვერცხლი მოუტანა. I ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ვ. სტოლიპინმა — 569 ქულა. მესამე პრიზიორია მოსკოველი ე. რასკაზოვი — 564.

სროლის ექვს ოლიმპიურ სახეობაში მიმდინარე შეჯიბრებაში ჩაება 700-მდე სნაიპერი, მათ შორის, სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და რეკორდსმენები. ახალი სასროლო სტადიონის ცეცხლის ხაზზე ერთდროულად სამას სპორტსმენს შეუძლია ასპარეზობა. მთავარი პავილიონის ჭერქვეშ განლაგდა ორი 50-მეტრიანი ტირი, 25-მეტრიანი ტირი, აგრეთვე, პნევმატური იარაღით სასროლეთი. სტადიონს, რომელიც 10 ჰექტარზეა გაშლილი, კიდევ რამდენიმე ღია ტირი აქვს.

ჩემპიონატი 26 ივნისს დამთავრდება.

# ისევ ევროპის ნაკრებში — ამერიკელთა წინააღმდეგ

# ჟარმუხამედოვის 60 ქულა

„საბჭოთა კალათბურთელებმა წარმატებით მოისალეს— ვალი ევროპის წინაშე და ახლა მიუნჰენს მიემგზავრებიან“, — ასე შეაფასა საბჭოთა ხუთეულის წვლილი „ძველი სამყაროს“ ნაკრების ორ დამაჯერებელ გამარჯვებაში ჟენევის ერთ-ერთმა გაზეთმა. მართლაც, ფიბა-ს 40 წლისთავისადმი მიძღვნილ მატჩებში (ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების წინააღმდეგ) ა. ჟარმუხამედოვმა, ს. ბელოვმა, მ. პაულაუსკასმა და ი. ედეშკომ (მეხუთე საბჭოთა კალათბურთელი ა. ბელოვი ზაგრებში მიღებული ტრავმის გამო ჟენევაში აღარ გამოსულა) მაღალი და დახვეწილი ოსტატობა გამოავლინეს. მათი წვლილი ზაგრებისა და ჟენევის წარმატებებში ჯეროვნად შეაფასეს როგორც გუნდის ხელმძღვანელებმა, ისე პრესამ და სპორტულმა საზოგადოებრიობამ.

მაინც, რაში გამოიხატება ეს დაუფასებელი წვლილი? განვლილ ორ მატჩში ევროპის ნაკრებმა თავის მეტოქეს 190 ქულა გაუტანა. გამარჯვების ქულათა ნახევარზე მეტი (100) ოთხი საბჭოთა კალათბურთელის წილად მოდის. ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი ევროპის ნაკრებში საბჭოთა ცენტრალური მოთამაშე ჟარმუხამედოვი იყო. ორ მატჩში თავის კოლექტივს მან 41 ქულა შესძინა. მცველმა და მთავარმა გამთამაშებელმა ს. ბელოვმა 29 ქულა დააგროვა, პაულაუსკასმა — 20, ედეშკომ — 10.

საბჭოთა კალათბურთელების გამგზავრება მიუნჰენში იმით იყო გამოწვეული, რომ სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდი დიდ საერთაშორისო ტურნირში გამოსასვლელად ემზადება და, ცხადია, ძირითადი ხუთეულის გარეშე გაუჭირდებოდა თამაში. მაგრამ ანალოგიური პრობლემის წინაშე დადგნენ ევროპის ვარსკვლავთა მთავარი სელექციონერი, პოლონელი ვ. ზაგურსკი და ნაკრების ტექნიკური დირექტორი, იუგოსლაველი ბ. სტანკოვიჩი, რომელთა აზრითაც საბჭოთა კალათბურთელების გარეშე ევროპის ნაკრებს გამარჯვების ნაკლები შანსი აქვს. სწორედ ამ მიზნით დაიწყო მოლაპარაკება ფიბა-ს სამდივნოსა და საბჭოთა გუნდის ხელმძღვანელებს შორის. ბოლოს საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელებმა დათმეს და საბჭოთა ხუთეული ზაგურსკის გამგებლობაში დარჩა. ფიბა-ს გენერალურმა მდივანმა ვ. ჯონსმა ამ დიდსულოვანი ჟესტისთვის მადლობა გადაუხადა საბჭოთა გუნდის ხელმძღვანელებს.

მაშ ასე, 21 ივნისს ესპანეთის ქალაქ ვიგოში ევროპისა და აშშ-ს ნაკრები გუნდების მესამე მატჩი გაიმართა. ეს შეხვედრაც „ძველი სამყაროს“ კალათბურთელებმა მოიგეს — 78:64. ევროპის ნაკრებში ტრადიციულად ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი ჟარმუხამედოვი იყო (19), რომელმაც სამი მატჩის ჯამში 60 ქულა დააგროვა. თქმა არ უნდა, დიდებული შედეგია

ესპანეთის პრესა აღფრთოვანებულია ევროპული კალათბურთის სამი ვარსკვლავის — ა. ბელოვის, ა. ჟარმუხამედოვისა და კ. ლაიკის (ესპანეთი) ბრწყინვალე თამაშით.

# ნორჩთა სპარტაკები

საჩხერის პიონერთა სახლთან არსებული ნორჩ ავიამოდელისტთა წრის ყოველი მეცადინეობა საქმიანად მიმდინარეობს. ყმაწვილები დიდი ინტერესით ეცნობიან პლანერების, რეზინასძრავიანი, ტაიმერული, საჰაერო ბრძოლისა და ექსპერიმენტული მოდელების დამზადებას, შემდეგ კი სხვადასხვა შეჯიბრებაში გამოდიან და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევენ.

1969 წელს საჩხერელმა კ. შუბითიძემ სსრ კავშირის ნორჩ ავიამოდელისტთა ჩემპიონატში უძლიერესის ტიტული მოიხვეჭა (მასვე ბევრჯერ დაუსაკუთრებია ჟურნალ „მოდელისტ-კონსტრუქტორისა“ და ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის სიგელები და ფასიანი საჩუქრები). ამავე შეჯიბრებაში საჩხერელი ზ. მაჭარაშვილი II საპრიზო ადგილზე გავიდა.

რაკეტომოდელიზმში ჩვენი რესპუბლიკის სამგზის ჩემპიონია საჩხერელი ბ. სამხარაძე, ხოლო გ. ერცვაძე და თ. იაკობაშვილი 1970 წელს ავიდნენ გამარჯვებულის კვარცხლბეკზე. წარმატებებს მიაღწიეს, აგრეთვე, ზ. მაჭარაშვილმა და გ. გუდაძემ.

... ყოველწლიურად იმართება საჩხერის პიონერთა სახლის, ჭიათურის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურისა და ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავიამოდელისტთა შეჯიბრება. წლეულს ასეთი ასპარეზობა საჩხერეში გაიმართა. მასპინძლებმა 1201 ქულა დააგროვეს და გუნდური I ადგილი დაიკავეს. 720 ქულით II ადგილზე გავიდნენ ქუთაისის ავიამოდელისტები.

ო. ცარციძე,
რაიონული გაზეთ „ახალი ცხოვრების“ თანამშრომელი.

საჩხერე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზაზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 24 ივნისი. ახკ-ს სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „გიგანტი“ (ლაითური). დასაწყისი 16 ს. 30 წ. ვარკეთილის სტადიონი. „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „სამცხე“ (აწყური). 17 ს.

მთამსვლელთა რესპუბლიკური ფედერაცია, საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მთამსვლელი, ალპინიზმის ინსტრუქტორი

ნესტორ (კუკა) დავითის ძე მაჭავარიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 05493